საქართველოს სახელმწიფო
თბილისი
...რო ბიბლიოთეკა
18

№ 10
იანვრის 14, სამშაბათი 1903 წ.
1877

ივერია

№ 10
იანვრის 14, სამშაბათი 1903 წ.
1903

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1903 წელს

გაზეთი „ივერია“ გამოვა იმავე სივრცით და პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა,

ფასი გაზეთისა მთელის წლით ისევ თუმანია. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).

ქუთაისში:—ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში, ქუთ. წიგნების გამომც. ამხანაგობის კიოსკში, აგრეთვე სოსიკო მერკვილაძესთან.

ბათუმში: ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში, და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

ფოთში: ავქსენტი ისიდორეს ძე ბიბილეასთან.

აჭოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).

ზესტაფონში (ყვირილაში): ივანე დავითის ძე საყვარელიძესთან.

საზუნჩაში. პეტრე მაჭავარიანთან.

შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.

განჯაში:—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).

გორში:— არ ტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—10 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—5 კაპ. მთელი გვერდი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

ფასი გაზეთისა 12 თვ. 10 მ., 11-თ—9 მ. 50 კ., 10-თ—8 მ. 75 კ., 9-თ—8 მ., 8-თ—7 მ. 25 კ., 6-თ—6 მ. 50 კ., 5-თ—5 მ. 50 კ., 4-თ—4 მ. 75 კ., 3-თ—3 მ. 50 კ., 2-თ—2 მ. 75 კ., 1-თ—1 მ. 50 კ.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

უმთავრესი კანტორა დ. ზ. სარაჯიშვილისა ქ. ტფილისში აცხადებს, რომ საუკეთესო ვენახების

კახურის ღვინის

შესანახად და დასაძველებლად, 1903 წლის 1 იანვრიდგან დაქირავებულია სარდაფები **პეტრუსა მაკაროვისა.** კანტორა და მაღაზია ღვინის ვაჭრობისა იმავე სახლშია (ოლგის ქუჩა, ტელეფონი № 150).

ღვინოები ისყიდება 25 კაპ. დაწყებული ბოთლი.

ნარდად მსყიდველთ და მუდმივ მუშტარს ნაკლებად მიეცემა; ათ ბოთლზედ ნაკლები თუ არ მოითხოვა მუშტარმა, ღვინოს კანტორა სახლშივე თვითონვე მიუტანს.

ღვინო ისყიდება:

საწყობში—გოლოვ. პროსპ. სახ. დობრჟანსკისა, ტელეფ. № 595.
დეპო № 2, თავ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ ტელეფ. № 210
დეპო № 1, სასახლის ქუჩა, საკუთარი სახლი, ტელეფონ. № 60.

კავკასიის აფიც. საზოგ., რკინის გზის მოხელეთა მომხმარებ. საზოგადოებისა, შაქიევისა, მანიევისა, აკოფოვისა და სხვა საგასტრონომიო მაღაზიაში. (25—6.—1)

ს.-პეტერბურგის კომპანია

„ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

დაარსებულია 1847 წელს.

ძირითადი თანხა	1.650.000 მან.
სათადარიგო თანხა	2.664,808 მან.

I. გაგზავნა ტვირთისა.

300 საგენტოზედ მეტია ევროპიულ რუსეთის ყველა უმთავრესს ადგილას, კავკასიაში, შუა აზიაში, სიბირში და შორეულ აღმოსავლეთად, აგრეთვე წარმომადგენელნი ჰყავს უმთავრესს ქალაქებში საზღვარ-გარედ.

კომპანია კისრულობს გაგზავნას და გადაზიდვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიღებას და ჩაბარებას სახლში, საწყობსა და მაღაზიაში.

კისრულობს ჩაბარებას ბარგი გამგზავნთა მიერ აღნიშნულ პირობით (ფას-დადებით გამგზავნის ხარჯზედ, ფულის გაგზავნა დეპეშით საქონლის გაგზავნისათვის იქ, სადა ბარგი და საქონელი უნდა იქმნას ჩაბარებული და სხ.).

მესესხება საქონლისა შეღავათიანის პირობით იმ დრომდე, ვიდრე პატრონს ჩაჰბარდებოდეს და დაზღვევა მისა საწყობში, რისთვისაც ბევრგან გვაქვს დიდნი საკუთარნი საწყობანი, განსაკუთრებით საქონლის შესანახად მოწყობილნი.

II. ნაოსნობა.

კომპანიას აქვს საკუთარი გემები, ზღვებსა და მდინარეში საველელი ნავები (ბარჟები) პასაჟირებისა და საქონლისათვის, აგრეთვე საბუქსირო გემები (სულ 70 ნავი და გემი). ავდიანი მიმოსვლა პასაჟირთა და ზიდვა საქონლისა მდ. ვოლგას ყოველ ბაქან შორის, რიბინსკიდგან ასტრახანამდე და კასპიის ზღვის ყოველ პორტს შორის, ასტრახანიდგან სპარსეთის საზღვრებამდე.

უზარმაზარნი საწყობნი საქონლისა ნიჟნი-ნოვგოროდში (სიბირის ბაქანთან, ასტრახანსა, ბაქოსა და კრასნოვოდსკში).

III. დაზღვევის ოპერაციები.

ა) **დაზღვევა** საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა და არით.

ბ) **დაზღვევა** ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) **დაზღვევა** ყოველ-გვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) **დაზღვევა** განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის საგენტონი ყველგან. სატრანსპორტო საგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის საგენტონი.

გამგეობა ს.-პეტერბურგის კომპანიის „**ნადეჟდას**“-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნაოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნაოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის საგენტო სასახლის ქუჩაზე, ქართველთა თავად-აზნაურობის სახლში. ტელეფონი № 108. (120—6.—75)

№ 29. ტელეფონი № 176.

საქველ-მოქმედო წარმოდგენა

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 16 იანვარს, 1903 წ.

ვლ. ალექსი-მესხიშვილის სასარგებლოდ

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესა

გრიგალი

დრამა 4 მოქ.. სმირნოვისა, თარ. ივანიძისა.

მონაწილეობას იღებენ—ქ-ბნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ნ. რიონელი, ელ. ჩერქეზიშვილისა. ბ ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე, ბ. გედევანოვი, ვ. გუნია, ი. ივანიძე, ბ. მესხი, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად „**მელანიას ოინები** ნ. გაბუნია-ცაგარლის საბენეფისოდ, „ჩატეხილი ხიდი“, „სიძე-სიმამრი“, „დარღვეული კერა“, „ნიკრა“, „ორი დარაჯი“.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

თეატრის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს მაყურებლებს, პიესის მოქმედების დროს ტაშს ნუ დაუკრავენ და ნუ გამოიწვევენ ხოლმე მსახიობთ, რადგან უდროვო-დროს მოქმედების შეწყვეტა პიესას ახდენს და მსახიობთაც აკრძალული აქვთ მოქმედების დასრულებამდე გამოსვლა თავის დასაკრავად.

ევროპიელი ქალი

ინგლისურისა, ფრანგულისა და გერმანულის

ენის მცოდნე, იძლევა

გაკვეთილებს

მსურველთ იკითხონ ქ-ნი ოპპე, ბარონის ქუჩა, ექიმ ღამბაშიძის ბინაზედ. (წ.)

ექიმი ალ. მაღალაშვილი

მიხეილის ქუჩა, 30. ტელეფონი № 450

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 10—1-დე და საღამოთი 6—8-დ. წლ.

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფები დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე, ხოლო საღამოობით 5—7-მდის.

კვირა-უქმე დღეებში 9—2-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38. (წლ.)

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში

მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს ფერადი ძაფით ნაკერებს და **კაბებს** ქალებისას და ბავშვებისას.

ბარონის ქუჩა, № 12.

ექიმი

ვ. ი. ინაშვილი

იღებს ავადმყოფებს შინაგანის სნეულებით შეპყრობილს, განსაკუთრებით გულისა და ნერვებით სუსტებს. დილის 10 საათიდან 12 საათამდე, საღამოს 5-დან—7 საათამდე, რეუტოვის ქუჩა, სახლი № 6. (10—2—8)

ექიმი

ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფებს დილის 10—11 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

გ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.

მ. ზ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ზ. ა. თარხანოვი. 1—1$^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1$^1/_2$ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)

ნ. ს. ლუბეცკი 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიული.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბაკინა** 7—7$^1/_2$ საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ზ. ა. თარხანოვი. 7$^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

გ. ა. ნავასარდიანი. 7$^1/_2$—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გუმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон- (წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. დ. ღამბაშიძე—შინაგანი: 9—10.

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12— საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 10—11 ს.

ზრ. ვ. სოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—3 საათ.

ზ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—3 ს.

საღამოთი:

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით' კტრაოები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

ტფილისი, 14 იანვარი.

დღევანდელს დღეს საქართველოს ეკკლესია დღესასწაულობს წმიდა მოციქულთა სწორის ნინოს გარდაცვალების ხსენებას.

დიდი და დაუვიწყარი ღვაწლი დასდო წმ. ნინომ ჩვენს ქვეყანას. მისის გაბედულის ქადაგებითა და მოციქულებრივის შრომით განათლდა ჩვენი ერი ქრისტიანობის ნათლითა.

მართალია, წმ. ნინოს მოსვლამდე საქართველოში, ქვეყანა უკვე მომზადებული იყო საქრისტიანო მოძღვრების მისაღებად, მაგრამ ქრისტეს სარწმუნოება ჯერ კიდევ საყოველთაოდ შეწყნარებული არ იყო, მაღალი მოძღვრება სახარებისა ჯერ კიდევ გაბედვით არ გაისმოდა ერში.

წმ. ნინოს დაუღალავ ქადაგებასა და ჭეშმარიტად მოციქულებრივს ღვაწლს მოჰყვა ნათელ-ღება ერისა და საყოველთაო სარწმუნოებად აღვიარება ქრისტეს მოძღვრებისა.

ვინც იცის, რა გულითა და სულით შეითვისა მთელმა საქართველოს ერმა ქრისტიანობა, რა მედგრად იბრძოდა ამ მაღალ და დიდებულ სარწმუნოებისათვის ჩვენი პატარა ერი, რამდენი ტანჯვა და წამება გამოიარა თვისს ხანგრძლივს ისტორიულს ცხოვრებაში ქრისტეანობისათვის, ის ადვილად მიჰხვდება, რად იხსენიებს დღეს მოწიწებით საქართველოს ეკკლესია დედათა შორის სანატრელს წმ. ნინოს.

მთელი გუნდი წამებულთა და ქრისტეს მოძღვრებისათვის თავდადებულთა, მთელი დასი მეფეთა, დიდებულთა, სამღვდელოთა და ბერ-მონაზონთა ილვწოდა თავ-განწირულებით ქრისტიანობის სადიდებლად.

ქრისტიანობა და ქართველობა სინონიმად გადიქცა. ქრისტეს სახელი და მისთა მაქადაგებელთა ღვაწლი ღრმად ჩაებეჭდა ერს გულში.

პატარა საქართველომ შეჰქმნა ცალკე, დამოუკიდებელი ეკკლესია, საეკკლესიო იერარქია, რომელიც თავ-გამოდებული იცავდა ქვეყნის დამოუკიდებლობასა, ებრძოდა ყველა ბოროტებას და ბიწიერებას და ჰქადაგებდა სახარების მაღალს ზნეობას.

არამც თუ საქართველოში, არამედ მის გარეშეც გაისმოდა ქართველთა ღაღადება სადიდებლად ქრისტიანობისა და სახარების დიდებულის მოძღვრების გასავრცელებლად. ამის მოწამეა აფხაზეთი, დაღესტანი, საჩაჩნეთი და კავკასიის მიუვალნი მთა-ადგილნი.

აი, ამიტომ შეჰხარის და შესტრფის ჩვენი ეკკლესია წმ. ნინოსა და ჰღაღადებს დღევანდელს დღეს: „გიხაროდენ, რომელმან ვარსკვლავთა და მნათობთა უზენაესი ნათელი მოგვფინე ჩვენ და რომელმან კლდესა ზედა სარწმუნოებისასა დაგვამყარენ ჩვენ“.

---

14 იანვარის დღე განსაკუთრებული სა დღესასწაულო დღეა ქართველთათვის. მთე ლი ჩვენი ერი ამ დღეს სამართლიანად უქ მობდა. უწინ ამ დღეს; ვაჭარი და მწარმოე ბელი შესწყვეტდა ხოლმე თავის საქმეს. მუ შაკი, მოხელე, დიდი და პატარა მიეშურებოდ საყდარში წმ. ნინოს სახელის სადიდებლა და თაყვანის საცემლად. ჩვენდა სამწუხაროდ ამ ბოლოს დროს, როგორც ბევრს სხვაში ამაშიაც გულ-გრილობას ვიჩენთ. დღეს ერ თითქო აღარ დღესასწაულობს ნინოობა გვესმის ამ დღის მნიშვნელობა. ამ დღეს ჩვენი თვითცნობიერებისათვის მეტად დიდი მნიშვ ლობა აქვს. ვისაც ესმის ეს მნიშვნელობა, შეუძლიან არ შესწუხდეს ასეთის გულ-გრი ლობისათვის. საჭიროა, ბოლო მოეღოს ამა ყოველი ჩვენი ნაციონალური, ძალა უნ დავიცვათ წმინდად და მტკიცედ, თუ გვინდ ქართველობის სახე არ დავკარგოთ.

ტფილისი

✦ 24 თებერვალს ტფილისის ოლქის სამართლოს სისხლის საქმეთა სესია გორ მიემგზავრება, სადაც მარტამდე დარჩება.

✦ 7 თებერვალს ტფილისის ოლქის სასამართლოში განსახილველად დანიშნულია საქმე კომერსანტ ერვიეს მოკვლისა.

✦ ახალ წლის უქმეებში ტფილისის იაფფასიან და უფასო სასადილოთა საზოგადოებამ ღარიბ ბავშთ „შობის ხე“ გაუმართა. ბავშვებმა ერთობ ისიამოვნეს ამ საღამოს. ბავშვებს საჩუქრები დაურიგეს. შემოწირულებანი საზოგადოებამ ცოტა მიიღო.

✦ ს. სომხეთის—გორის მაზრა—ახლო უპოვიათ, როგორც გვიამბეს ორი გაყინული კაცის გვამი. ისინი რაჭის მაზრაში მცხოვრებნი ყოფილან—ხოსია და მარკოზ გაგნიძეები.

✦ 9 იანვარს ტფილისის გუბერნატორმა გამოსცა ახალი სავალდებულო დადგენილება ხორცის ხარისხებად დაყოფის შესახებ. წარსულ წლის 9 იანვრის დადგენილება ამის შესახებ ამ ჟამად ძალაში აღარ არის.

✦ როგორც გვატყობინებენ, ამ კვირაში ფოთის ქალაქის თავი ნ. ი, ნიკოლაძე პეტერბურგში მიდის სამსახურის საქმეთა გამო.

✦ 18 იანვარს პეტერბურგში დაიწყება კრება იმ კომიტეტისა, რომელმაც პორტების საქმეები უნდა მოაწესრიგოს.

✦ ბაქოს სამს გაზეთს გადაუწყვეტიათ, რომ კვირა-უქმეების შემდეგ ნულარ დავბეჭდავთ ხოლმე გაზეთის ნომრებს და მხოლოდ დღეებში დაუგზავნით ჩვენს მკითხველებსაო. ასე უნდა მოვიქცეთ, რადგან მეტად სამძიმო გამუდმებული შრომა მოუსვენებლივ გაზეთის მოხელეთათვის, დაწყებული რედაქტორისა და თანამშრომლებიდან ასოთ-ამწყობლებამდე და მბეჭდველ ჩარხის მატრიალებელ-დამტარებლებამდე. კვირაში ერთს დღეს შესვენება აუცილებლად საჭიროა მუშაკისათვის, თუ გვინდა, რომ მუშაკმა სრულიად არ დაჰკარგოს სიყვარული და ხალისი საქმის კეთებისაო.

✦ დღეს, 14 იანვარს, დანიშნულია კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება. კრებამ უნდა განიხილოს სულთან-კრიმ-გირეისა და ან. ნატროშვილის მოხსენებანი.

✦ მოხსენება ქალაქის მოედნებისა და ქუჩების მოკირწვლის შესახებ, რომელიც კარგა ხანია შემუშავდა, შეერთებულმა სხდომამ მოიწონა და გადასწყვიტა, საბჭოს წარუდგინოს განსახილველად პირველსავე კრებაზედ.

✦ იანვრის პირველ რიცხვებში ვერაზედ ქალაქის გამგეობას უნდა გაეხსნა მეოთხე დუქანი ხორცისა, მაგრამ ვერ მოასწრო შენობის დამთავრება. ამასთანავე გამგეობა აცხადებს, რომ ამ ჟამად ხორცის ფასმა აიწია და დუქანი რომ გავხსნათ, ზარალის მეტს არას ვნახავთო.

✦ კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭომ ამ დღეებში თხოვნით მიჰმართა კავკასიის მთავარმართებელს, გვიშუამდგომლე მიწადმოქმედების წინაშე, რათა მან მოგვცეს მცირე თანხა მაინც იმ ზარალის დასაფარავად, რომელიც კავკასიის საიუბილეო გამოფენის დროს მოგვივიდაო. ამ ჟამად ბევრნი უჩივიან საზოგადოებას და ედავებიან ფულს, მაგრამ საზოგადოებას შეძლება არა აქვს მოვალეთა გასასტუმრებლად.

✦ როგორც გვატყობინებენ, სიღნაღის მაზრაში ისეთი დიდი თოვლია თურმე, რომ ერთი სოფლიდგან მეორე სოფელში მისვლა შეუძლებელია. თოვლი ჯერ კიდევ მოდისო.

✦ დ. ხაშურიდგან ჩამოსულებმა გვიამბეს, რომ სასტუმროები (რიცხვით ორი) რაღაც მიზეზით დაჰკეტეს ბოქაულის განკარგულებით, რის გამოც მგზავრი იძულებულია ღამე სადმე დუქანში გაათიოსო. კარგი იქნება ყურადღებას მიაქცევდეს ამ გარემოებას, ვისაც ჯერ არს, რადგან ხაშურში არამც თუ ორი, სამი სასტუმროც არ არის საკმარისი, რადგან მგზავრნი ამ დაბას მრავლად აწყდებიან სხვა-და-სხვა მხრიდგან.

✦ არ იქმნა და არ ეშველა ტფილისის მეეტლეებს, რომ ფრთხილად ატარონ ეტლები. დღე არ გავა, რომ უბედურება რამ არ მოახდინონ; გუშინ, ნაშუადღევის 1 საათზედ, სასახლის ქუჩაზედ, მეეტლე № 497-იმ დაატაკა ეტლი ერთ კაცს და ქვეშ მოიტანა. ხალხი რომ არ მიშველებოდა, დაშავებული ცოცხალი ვერ გადარჩებოდა. საჭიროა ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას.

ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა მე-V კრება ქუთაისში

9 იანვარი.

(საკუთარის კორრესპონდენტისაგან)

კრება კინაღამ მუშტი-კრივით დაიწყო: ბ. ა. კრინიცკიმ, რომელიც მეთვალ-ყურედაა დანიშნული, რომ უბილეთოდ არავინ დაესწროს კრებას, ბ. კ. მოდებაძეს, (პირველად იყო დღეს კრებაზე) ბილეთი მოსთხოვა. შელაპარაკდნენ; ბ. მოდებაძემ ლაქია უწოდა; მიიწიეს და თითქმის სწვდნენ კიდეც ერთმანერთს, მაგრამ დროით გააშველეს.

თორმეტის ნახევარზე დაიწყო კრება. მდივანი ოქმის კითხვას შეუდგა.

იდ. კაკაბაძე. ოქმში არაა მოყვანილი ჩემი გუშინდელი განცხადება ქართულ ენის შესახებაო.

ითს. კაკაბაძე. ჩემი აზრი კომისიების შესახებ სწორედ არაა აღნიშნული ოქმში; გარდა ამისა, გამოტოვებულია ისიც, რომ ბ. თავმჯდომარემ სიტყვის ნება არ მომცა; მე-კი გთხოვეთ, ოქმში შეგეტანათ.

ექ. ჭიჭინაძე. დღევანდელს ოქმს მეტად ემჩნევა მიკერძოება, ცალ-მხრივობა; რაც შეეხება ბ. ზდანოვიჩს, ყოველივე საუცხოვოდ, სავსებით არის აღნიშნული, მხოლოდ მის მოპირდაპირეთა სიტყვები მეტად მკრთალადაა მოყვანილი (ხმები: „ტყუილია, ჭორია, ცილის-წამებაა“) ბ. ზდანოვიჩი რედაქტორობას უწევს ოქმებსა და ეს ყოვლად შეუწყნარებელია. (ხმები: „ტყუილია, ცილის წამებაა“).

თავმჯდომარე. ეგ მართალი არაა.

ექ. ჭიჭინაძე. მე ნამდვილად ვიცი, რომ მე-III საზოგადო კრების დროს ბ. ზდანოვიჩი რედაქტორობდა ოქმებს.

ბ-ნი. ზდანოვიჩი. სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ ეს ჩემთვის არა სასიამოვნო და სამძიმო მოვალეობა ბ-ნმა კრების თავმჯდომარემ მაკისრა, არ ვიცი-კი—რად. სწორედ, ვერ ვეტყოდი მადლობას, რომ ეხლაც ვისმე ეკისრებინა ჩემთვის ეს საქმე.

ექ. ჭიჭინაძე. რადგან ცოტა დავიგვიანე კრებაზედ ოქმი სრულად ვერ მოვისმინე; მხოლოდ ისე შევნიშნე, რომ ცალმხრივია, და გთხოვთ მიბრძანოთ ესა და ეს მოხსენებულია, თუ არაო (ჩამოსთვალა რამდენიმე წინადადება).

ასტყდა ხმაურობა, და თავმჯდომარე იძულებული შეიქნა კრება შეეწყვიტა 10 წამით.

კრების განახლებისათანავე ბ. ითს. კაკაბაძემ დაიწყო ლაპარაკი, მაგრამ თავმჯდომარემ მიმართა,—გთხოვთ, ნუ გვიშლითო.

ექ. ჭიჭინაძე. ჩემი სიტყვები,—ყოფილ ჟურნალისტ ზდანოვიჩს ყველგან „კვალი“ ელანდება—არ არის შეტანილი.

ბ-ნ ზდანოვიჩი. გთხოვთ, შეიტანოთ.

ბ. ემერიკი. საუცხოოდ იყო შედგენილი გუშინდელი ოქმი, მხოლოდ ამასვე ვერ ვიტყვით დღევანდელ ოქმის შესახებ; მაგ., როცა სტიპენდიების შესახებ ჩამოვაგდე სიტყვა, მე ის აზრი არ გამიტარებია, ვითომ საბჭოს პატრონებას ჩრდილს ვაყენებდე. მე ვთქვი, მხოლოდ მაგალითად—თუ რომელსამე სტიპენდიის მსურველს ნათესავი აღმოუჩნდა საბჭოში, შესაძლოა, სრულიად, უნებურად, მიეცეს იმას უპირატესობა და იმგვარსავე მდგომარეობაში მყოფი მისი ამხანაგი ცარიელზე დარჩესო; ბატონებო, დამეთანხმეთ, რომ ამგვარი სისუსტე თავისიანისადმი ყოველს ადამიანსა სჭირს; ეს ვის რად უნდა ეწყინოს? ეს აზრი ოქმში გამოტოვებულია, და სამაგიეროდ ისეა მოყვანილი ჩემი სიტყვა, თითქოს მართლა საბჭოსთვის რაიმე ცუდი შემეწამებიოს. ოქმი ცალმხრივად და მიდგომითაა შედგენილი.

ბ-ნი ზდანოვიჩი. ჩემი სიტყვაც გადასხვაფერებულია. მე ის აზრი გავატარე,—ნუ თუ ჟურნალისტი, კაცი, რომელსაც რაიმე დამოკიდებულება აქვს მწერლობასთან, წინააღმდეგი უნდა იყოს თვითმმართველობისა, იმ მიზეზით, რომ მას ხარჯიც მოსდევს. ეს ოქმში სწორედ არ არის აღნიშნული.

ითს. კაკაბაძე. მე ვამბობდი მხოლოდ, რომ კრებას სახეში მიეღო მკვიდრთა სურვილიც და მარტო საკუთარ ანგარიშით არ ეხელმძღვანელა. ჩვენ ნება არა გვაქვს დავივიწყოთ მცხოვრებნიო, და დიდხანს ილაპარაკა ამის შესახებ.

თავმჯდომარე. ერთი გვიბრძანეთ, როგორ შევიტანოთ თქვენი სიტყვები ოქმში? (სიცილია).

ითს. კაკაბაძემ კიდევ განაგრძო თავისი სიტყვა,—ბ-ნ ზდანოვიჩის შესახებ ვსთქვი, რომ იგი სამსახურიდგან გასული ჟურნალისტია...

ბ-ნი ზდანოვიჩი. ჟურნალისტები სამსახურიდგან არ გადიან; მხოლოდ მოხელენი გადიან სამსახურიდგან.

ს. ქვარიანი. ბ-ნო თავმჯდომარე, გთხოვთ სიტყვის ნება მომცეთ.

თავმჯ. თქვენ სტუმარი ხართ, შეგიძლიანთ უსიტყვოდაც დარჩეთ.

თავ. თუმანიშვილი. საჭიროა, ჭიათურის ფოსტის განყოფილებას, გარდა იმისა, რომ ყოველგვარ თანხის გადატან გადმოტანის ნება მიეცეს, ზარაფობის უფლებაც მიენიჭოს. ნუ დავივიწყებთ, რომ ამის შესახებაც ვთხოვოთ სათანადო მთავრობას.

თავმჯდ. ოქმის შესახებ ბაასი გათავებულია; ვსთხოვ წევრებს, ხელი მოაწერონ.

ბ-ნი კიკნაძე ნება მიბოძეთ დაგამტკიცოთ, რომ კრებაზედ დასწრების უფლება ყოველ მრეწველსა აქვს. კითხულობს წესდების §§ 6 და 30; აქედგან ცხადადა სჩანს, რომ ყოველ მრეწველს შეუძლიან დაესწროს კრებასაო. (ქანდარაზედ ტაშის ცემაა).

თავმჯ. რადგან გუშინ არ გადასწყდა, პროგრამის სხვა-და-სხვა მუხლების შესამუშავებლად სრული კომისიები ავირჩიოთ, თუ მხოლოდ კომისიის თავმჯდომარენი, რომელნიც თვით შეადგენდნენ კომისიებს, გთხოვთ მოილაპარაკოთ და რაიმე გადაწყვეტილებას დაადგეთ.

ბ-ნი ემერიკი. მე მახსოვს, მხოლოდ თავმჯდომარენი უნდა აგვერჩია.

თავმჯდ. მაშ კარგი, მხოლოდ თავმჯდომარენი ავირჩიოთ.

ბ-ნი კიკნაძე. და ვიღაც უნდა დავუნიშნოთ, რომ შემუშავებული მოხსენება წარმოადგინონ.

თავმჯდ. საჭიროა ხარჯთ-აღრიცხვის შესახებაც კომისია დაინიშნოს, თავმჯდომარეს ბ-ნი ემერიკიც დასტურს აძლევს.

ბ-ნი ზდანოვიჩი. რომელი მოხსენებაც უკვე შემუშავებულია და მზადაა, მისი კომისიის თავმჯდომარე მისივე ავტორი იქნება. რომელიც არ არის შემუშავებული, მისთვის ავირჩიოთ თავმჯდომარენი; ეს რამოდენადმე გააადვილებს საქმესაო.

თავმჯდომარემ კრება შესწყვიტა, რომ მოელაპარაკნათ ერთმანერთში და დაესახელებინათ კაცები.

კრების განახლების შემდეგ თავმჯდომარემ განაცხადა,—რიგით ჩამოვყვეთ პროგრამის მუხლებს და ისე დავასახელოთ თავმჯდომარენიო. შემდეგ შეეკითხა კრებას,—ხარჯთ-აღრიცხვის საკითხის შესამუშავებლად ვინა გნებავთ კომისიის თავმჯდომარედაო.

ბ-ნი ცერცვაძე. რადგან ხარჯთ-აღრიცხვას საბჭო ადგენს, თავმჯდომარეც ის უნდა იყოს ამ შემთხვევაშიო.

თავმჯდ. ყოველ შემთხვევაში გარეშე კაცის დასწრებაც საჭიროაო.

ბ-ნი დ. ბაქრაძე. საბჭო სრულიად განზედ უნდა იდგეს, არ უნდა შეეხოს კომისიას, რომელმაც დამოუკიდებლად უნდა შეიმუშაოს ეს საკითხიო.

ბ-ნი ზდანოვიჩი. სწორედ არ მესმის, რა დამოკიდებულობა უნდა გამოიჩინოს კომისიამ; კარგად შეიმუშავებს, თუ ავად, ხომ დასასრულ მაინც კრებას უნდა მოხსენდეს. რანაირად უნდა შეუშალოს ხელი საბჭომ იმ კომისიას, ან რა აზრი ექნება; პირიქით, ვგონებ, რომ ხელს შეუწყობს და შრომას გაუადვილებს.

ბ-ნი ემერიკი. გარეშე კაცი მიტომაა საჭირო, რომ ახალი რაიმე შეიტანოს; ყველასათვის ცხადია, რაც მეტი ხალხია, ის მეტი აზრია. ჩემის აზრით აუცილებლად საჭიროა, სხვებმაც მიიღონ მონაწილეობა ამა საკითხის შესამუშავებლად.

ბ. ზდანოვიჩი. პრაქტიკულად თანახმა ვარ ამ აზრისა; მხოლოდ ბ. ემერიკის აზრთა წინააღმდეგობა მაკვირვებს, აქამდე სულ იმას გაიძახოდა, მოხსენების ავტორი იმავე დროს კომისიის თავმჯდომარეც უნდა იყოსო; მართალია. მაგრამ, რატომ არ შეიძლება ხარჯთ-აღრიცხვის ავტორიც ამავ დროს კომისიის თავმჯდომარედ იყოს. თუ ერთ შემთხვევაში შეიძლება, რატომ მეორეშიაც არა?

ბ. ემერიკი. ჩემს სიტყვებში არავითარი წინააღმდეგობა არ არის. ხარჯთ-აღრიცხვის საქმე სულ სხვაა და მოხსენების სულ სხვა. ხარჯთ-აღრიცხვის საქმე თვით მრეწველთ უკეთ გაეგებათ, ვიდრე ბ. ზდანოვიჩს და შეიძლება, მეც.

ბ. ზდანოვიჩი. თქვენ მხოლოდ ქათინაურს ეუბნებით კრების წევრთა, მაგრამ გავიწყდებათ, რომ თვით საბჭოა კრების ავტორი. კიდევ მოგახსენებთ, რომ სრულიადაც არა ვარ წინააღმდეგი კომისიისა, ცხოველის ელემენტისა; ყველას კარგად მოეხსენება, რომ სრული უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს და ხელი შეუწყოს საერთო საქმეს. მე მხოლოდ იმის აღნიშვნა მინდოდა, რომ ზოგიერთები ყოველნაირად სცდილობენ, თუ პირდაპირ არა, გაკვრით (КОСВЕННО) მაინც შეურაცხგვყონ, ჩირქი მოგვცხონ.

ბ. გამყრელიძე. წინააღმდეგია კომისიისა, ხარჯთ-აღრიცხვისათვის არავითარი კომისია არაა საჭირო.

ბ. ემერიკი. ბ. ზდანოვიჩსა ჰსურს კომისიებშიაც თავმჯდომარეობდეს და გავლენა იქონიოს; ეს მეტად უხერხულად მიმაჩნია; ვიმეორებ, კომისია სრულიად უნდა დავაშოროთ საბჭოს, რომ დამოუკიდებლად იმუშაოს და არავის გავლენის ქვეშ არ მოჰყვეს.

ბ. ითს. კაკაბაძემ ილაპარაკა იმის შესახებ, რომ საბჭო თავის სასარგებლოდ სწვეტს საქმესაო და მაგალითად მოიყვანა ერთი ცნობა სარევიზიო კომისიის ანგარიშიდგან, მაგრამ თავმჯდომარემ შეაჩერა, მაგის შესახებ შემდეგ გვექნება მსჯელობაო.

ბ. ძოწენიძე. ბ. ზდანოვიჩის აზრს ემხრობა.

ბ. მოსეშვილი. მოხსენების ავტორი არ უნდა მივაჩნდეს კომისიის თავმჯდომარედ; გუშინ შეცდომა მოგვივიდა, რომ ასე გადავსწყვიტეთ. მოხსენების ავტორი მომხსენებლად უნდა დარჩეს. ხარჯთ-აღრიცხვის საკითხშიაც ასე მოვიქცეთ: საბჭო მომხსენებლად დარჩეს ხარჯთ-აღრიცხვის პროექტისა.

ბ. ზდანოვიჩი. არც ერთის წინააღმდეგი არ გახლავართ; მე მხოლოდ იმის წინააღმდეგი ვიყავ, რომ ზოგიერთი სულ სხვანაირად ხსნიდა ამ საგანს და უნდოდა სხვა ელფერი მიეცა ამ საკითხვისთვის. სულ ერთია, ვინც უნდა და როგორ უნდა შეიმუშაოს იგი. თუ გნებავთ, სულაც ნუ დაგვისწრებს არჩეული კომისია.

ბ. ემერიკი. მთელი მასალა უნდა გადასცეთ იმ კომისიას.

ბ. ზდანოვიჩი. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რა ცნობები მივაწოდოთ იმ კომისიას, თორემ, ადვილად შესაძლოა, მეორე სარევიზიო კომისიად გარდაიქცეს იგი.

თავმჯდომარე. მაშ, საქმე გადაწყვეტილია.

ბ. კ. ბაქრაძე. საიდგან დაასკვენით, რომ კომისიის არჩევა გადაწყვეტილია. თქვენ ისე ლაპარაკობთ, თითქო უკვე გაგეთავებიოთ ეს საქმე. ჯერ კრებას შეეკითხეთ, უნდა თუ არა კომისიის არჩევა.

გაისმა ხმები: ყუთები დასდგით, კენჭის

ფელეტონი

მოშხამული გული.

(ამბავი)

(შემდეგი *)

II

ივლისის ოცს გადავედი იმ სოფელში, სადაც მ. სოფრომი მწირველი იყო. ამ სოფლის ეკკლესია გაშენებულია მაღალს გორაკზე, საიდანაც ცისფრად შეღებილ გუმბათებით ლამაზად გამოიყურება, როგორც კოხტად თავდახურული ქართველი ქალი.

წირვა ახლად დაწყებული იყო და ამიტომ ხალხი ცოტა იყო ეკკლესიაში.

ეკკლესიაში ყველა ცალკ-ცალკე იდგა და ამიტომ კაცი ადვილად მიხვდებოდა ვინ იყო მისი ნაცნობი.

როცა პირჯვარი დავიწერე და მარცხნივ მოვიხედე, დავინახე ნინო. გულმა ფანცქალი დამიწყო, და ლოყები შემიწითლდა.

ნინო იდგა ღვთისმშობლის ხატის წინ წყნარად, ღმობიერად. მისის სახის მეტყველება დაგარწმუნებდათ, რომ ის ყმაწვილი ქალი ჭეშმარიტი ღვთის მოყვარე იყო. არ იყურებოდა არც აქეთ, არც იქით. იდგა და თვალყურს ადევნებდა მღვდლისა და დიაკვნის ლოცვა-მოქმედებასა. როცა „რომელ ქერუბიმთა“-ს გალობა დაიწყეს, მან თავისი წყლიანი, მშვენიერი ცისფერი თვალები მიაპყრო ალსავლის კარების ზემოდ დახატულ სერობას.

ოჰ, რა მშვენიერი რამ იყო მაშინ ნინო! მგონი, თვით ბელზებულიც-კი დამშვიდდებოდა მისის მშვენიერებით!.. მის სახეზედ ამ ქვეყნიური არა იხატებოდა-რა, თითქოს ყველა საამქვეყნო დავიწყებული ჰქონდა!..

მისმა გულწრფელმა ლოცვამ მეც უნებლიედ გამიტაცა და სასოებაში მომიყვანა. დავიჩოქე მეც სალოცავად, მაგრამ ჩემთვის-კი არა, არა, ვავედრებდი ღმერთს, რომ ნინოსთვის მიენიჭებინა ხანგრძლივი სიცოცხლე.

ამას შემდეგ ნინო ერთი-ორად შემიყვარდა.

როდესაც წირვა გათავდა, და ნინო ეკკლესიიდან გამოვიდა, მივუახლოვდი, სალამი მივეცი და ხელი ჩამოვართვი.

ძლიერ გაუკვირდა ჩემი ნახვა და მკითხა: „საიდან გაჩნდიო?“ მე ვუთხარი: „ეკკლესიაში დიდი ხანია რაც მოვედი, მაგრამ თქვენ ვერ შემამჩნიეთ, რადგან თქვენ დაშორებით ვიდექი-მეთქი.

მცირე საუბრის შემდეგ, გადავედით ჩვენს საერთო საგანზედ მე დავუფარავად ვუთხარ ნინოს მამა-ჩემის ნალაპარაკევი, რაზედაც ნინომ ისე შემომხედა, თითქო მკითხავს: „შენ ხომ არა გითქვამს-რაო“.

მე ვუთხარი, რომ შენი სახელი სულ არ მიხსენებია, პირველად თვით მამა-ჩემმა ჩამოაგდო შენზე ლაპარაკი-მეთქი.

რა თქმა უნდა, ნინოს ძლიერ ესიამოვნა ის გარემოება, რომ ჩვენი მშობლები ჩვენის შეუღლების წინააღმდეგნი არ იყვნენ და, რომ თვით იმათ მოეწადინებინათ ჩვენი შეერთება.

ასე ლაპარაკით მივედით ნინოს სახლამდე; მ. სოფრომი უკვე მისულიყო ცხენით.

მე არ მინდოდა ნინოს დავცილებოდი; მინდოდა მენახა მისი დედა და გამეცნო მისი ოჯახი.

ამ ჩემს სურვილს ნინომაც შეუწყო ხელი: მეპატიჟებოდა სახლში, ჩვენსა წამოდიო. მეც დიდის სიამოვნებით დავთანხმდი.

შევედი სახლში, რომელიც სოფლის წესზედ იყო მოწყობილი: არც მდიდრული მორთულობა, არც ლაქით შეღებილი იატაკი არ ამშვენებდა სახლს. კედლის გასწვრივ იდგა გრძელი ლოგინი, რომლის ბოლოზე ერთიმეორეზედ დაწყობილი იყო ქვეშაგებლები და ზედ გადაფარებული ჰქონდა თეთრი ზეწარი... „შეიძლება ეს ნინოს მზითევიც იყოს“,—ვსთქვი გუნებაში. დანარჩენ ლოგინს გადაფარებული ჰქონდა ზოგან ძველი ხალიჩა, ზოგან გახუნებული განიერი ნოხი, რომელიც ერთს ალაგას, როგორც თვალი მოვკარ, არ ვიცი, გამომწვარი იყო, თუ არ ვიცი თაგვის განატკვერი...

— მერე, მერე?!—გავაწყვეტინე სიტყვა ლევანს, რადგანაც არაფრად მაინტერესებდა სოფლურ ხალხის მოწყობილობა.

— შემოვიდა ნინოს დედა მართა. ორმოცი-ორმოც-და-ხუთის წლისა იქნებოდა: მაღალი მოხდენილი და, უეჭველად, ერთ დროს ძლიერ ლამაზი უნდა ყოფილიყო: მისის სახის მეტყველება დაგარწმუნებდათ, რომ მართა იყო სარისტიანი, შრომის-მოყვარე და კარგი მეოჯახე ადამიანი. მართა წინადაც მენახა; მას შემდეგ ოდნავ გამოცვლილიყო. „ასე კარგია კარგი გვარის ადამიანი, ჩემი ნინოც მაგის დროს ხომ მაგას ემგვანება?!“ გავიფიქრე გულში.

მართას თან შემოჰყვა მ. სოფრომიც. ორივენი მომესალმენ, როგორც თავიანთ მოძღვრის შვილს. გამომკითხეს სემინარიის ამბავი. მე რაც ვიცოდი, ყველაფერი ვუამბე. «რას ვაპირებდი მე თვით, კურთხევას, თუ სამსახურში შესვლას?“

მე ვუთხარი, რომ გადაწყვეტილი მაქვს რუსეთში გავემგზავრო სწავლის განსაგრძობადა მეთქი...

ნინო ამ დროს თავის ოთახში იყო და საშინაო კაბას იცვამდა.

ჩემი სიტყვები რუსეთში წასვლის შესახებ მ. სოფრომს არაფრად მოეწონა და მითხრა:

— ახლანდელი ახალგაზდობა რუსეთის უმაღლესს სასწავლებელში არაფერს აკეთებს ცუღლუტობის მეტს. სტუდენტები, თითქმის ყოველ წელიწადს რჩებიან ერთსა და იმავე კურსზე, ახდენენ არეულობას, თავიანთ თავსაც იღუპავენ და მშობლებსაც აწუხებენ, სარგებლობა-კი ერთი ბეწოც არ მოაქვთ.

მე, რასაკვირველია, არ დავეთანხმე მ. სოფრომს და ვუთხარი:

— არა, მამაო, სარგებლობა არის, მაგრამ ერთი, რომ ჩვენ დაშორებით ვართ სტუდენტებზე და ამიტომ ვერ ვადევნებთ თვალყურს მათს აზრს და მოქმედებას და მეორე უნდა მოგახსენოთ, მათი აზრი და მოქმედება ჩვენთვის ხშირად გაუგებარია, აი, სწორედ ამისთვის გვგონია მათი მოქმედება უაზრო და უსარგებლო.

ხშირად რომელიმე არეულება სტუდენტებ შორის, გვგონება, ტყუილად, უმნიშვნელოდ მოხდარა, რამდენიმე სტუდენტიც უმსხვერპლია, მაგრამ ასეთ არეულობასაც აქვს თავისი კარგი თვისება, რადგან, უნდა ვიცოდეთ, რომ ყოველი გონიერი მოქმედება სტოვებს შესაფერს კვალს და, ასე თუ ისე, ამზადებს ნიადაგს უკეთესის მერმისისათვის. აი ასეთის თვალით უნდა ვუყურებდეთ არეულობას სტუდენტებ შორის! ყველა ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ სტუდენტების წრეს მეტად კარგი გავლენა აქვს ახალ თაობის ჭკუა გონების განვითარებაზე: იქ იძენს კაცი სწავლა-მეცნიერებას, ვითარდება, როგორც გონებით, ისე ზნეობით, და მომზადებული უშიშრად გამოდის ცხოვრების ასპარეზზე. აი ასეთი მნიშვნელობა აქვს უნივერსიტეტის ცხოვრებას ჩვენთვის!—დავაბოლავე მე სიტყვა.

ამ ლაპარაკში რომ ვართ, შემოვიდა მოსამსახურე ბიჭი და მ. სოფრომს მოახსენა:

— ბატონო სადილი მზად გახლავს!

— აბა, ერისტო, დღეს ერთი გემოზე გვაჭამე სადილი!.. სუფრა, აი, იქ, ნიგვზის ძირას გაშალე მწვანეზე, გესმის?!. მალე!

— ეხლავე ბატონო,—უპასუხა ერისტომ და გაექანა სამზარეულოსკენ.

მზარეულმა დიდხანს არ გვაცდევინა; თუთხმეტის წამის შემდეგ ჩვენ შევექცეოდით რგვლად მოხარშულს ქათმებს, ჭყინტ ყველს, ცხელ-ცხელ ხაჭაპურებსა და ქარვასავით ყვითელ ღვინოსა.

მწვანე ბალახი, რომელიც მრავალ-ტოტებიან ნიგვზის ხეს გადაერჩინა ივლისის ცხელის მზის სხივებისაგან, გრილი ნიავი, რომელიც მორცხვად ჰკოცნიდა ბალახ-ფოთოლთა და ჩვენც გვაგრილებდა, ჭამის მადას გვიღვიძებდა.

...ცოტა რომ დავლიეთ, ყველას მეტი ხალისი დაგვეტყო. ნინომ, რომელიც ჩემს

---

*) იხ. „ივერია“ № 7.

ყრით უნდა ავირჩიოთ ეს კომისიაო.

ბ. ზდანოვიჩი. მაშ, ყველა კომისია კენჭით უნდა ავირჩიოთ.

კრება ნახევარ საათით შესწყდა.

თავმჯდ. კრება შაბათამდე უნდა გადავდოთ, მანამდე რწმუნების ქაღალდები გაირჩევა და მაშინ ყოველ საკითხს კენჭის ყრით გადავსწყვეტთ, თორემ ისე არა გვეშველებარა.

ბ-ნი კიკნაძე. დებულების მე-13 §-ში ცხადადაა ნათქვამი, რომ დახურული კენჭი ამ გვარსაგნების გადასაწყვეტად სრულიადაც არაა საჭირო.

ინჟინერი მარკოვსკი. მაგრამ იმავ დებულებაშია ნათქვამი, თუ ათმა კაცმა მოითხოვა, შეიძლება დახურულ კენჭის ყრის მოხდენაო.

ბ ნი დ. ბაქრაძე. შეიძლება, მაგრამ ვალდებულნი არა ვართო.

ბ ნი ზდანოვიჩი. ბატონებო, ვისთვისაა ხელსაყრელი, რომ ჩვენი კრებები გაგრძელდეს და გაჭიანურდეს; ამით ვის რა სარგებლობა ექნება; რად ვიძნელებთ ძალით საქმეს.

თავ. დ. დუდნიძე. მრეწველებსა სურთ.

ბ-ნი ზდანოვიჩი. თქვენთვის არ მომიმართავს და მიკვირს, რად უხდებით ვექილად მრეწველთ, რომელთაც თქვენთვის ეს არ მოუნდვიათ.

თავმჯდ. რადგან უთანხმოება სუფევს იძულებული ვარ რწმუნების ქაღალდების გარჩევამდე მოვიცადოთ და შემდეგ კენჭს მივმართოთ.

უკენჭოთ ავირჩიოთ კამისია—გაიძახიან.

ბ-ნი ზდანოვიჩი. საქმეს ნუ ვაჭიანურებთ, სულ ერთია, როგორც გნებავთ ისე აირჩიეთ და დანიშნეთ კომისია. ამასთანავე აღუთქვა კრებას —დღესვე მოვახდენ განკარგულებას, რომ დაიბეჭდოს საბჭოს მიერ შემუშავებული ხარჯთ-აღრიცხვა, რათა ყველას შეეძლოს გაიცნოს იგი და თუ მოისურვებს, თავისი მოსაზრებაც მიაწოდოს კამისიასაო. ეს აზრი ყველამ მოიწონა.

თავმჯდომარემ განაცხადა,—ეხლა მე-7 §-ს შევუდგეთო (რა გადასახადი უნდა დაწესდეს შავ-ქვაზე).

ბ-ნი ზდანოვიჩი. სამწუხაროდ, როცა ჯიბეზედ მიდგება საქმე, ყოველგვარი ეგოისტური გრძნობა მაშინ იჩენს თავს. ამგვარ შემთხვევაში თითქმის ყოველთვის მარტო ვრჩები. ეხლაც, მე უკვე ვიცი, თუ რა აზრი ტრიალებს, და დარწმუნებული ვარ, რომ სჯა-კამათი ვერას შეგვძენს. სჯობია სრულიად დავანებოთ თავი და წინანდელი გადასახადი დავტოვოთ. ყველანი თანახმა გახდნენ, რომ წინანდელი გადასახადი დარჩენილიყო.

თავმჯდ. შევუდგეთ კომისიების არჩევას. § 10—მოხსენებას ბ-ნი ზდანოვიჩი წარმოგვიდგენს; § 11—ინჟ. ჩერნიავსკი. § 12-სათვის არავინაა და უნდა ავირჩიოთ.

ბ-ნი ზდანოვიჩი. ორი საკითხია გადასაწყვეტი: კომისიამ უნდა განიხილოს—გავამრავლოთ, თუ არა სტიპენდიები, და მეორე— რა პირობებით უნდა ეძლეოდეს სტიპენდია.

ცოტაოდენ კამათის შემდეგ ამ კომისიის თავმჯდომარედ ბ-ნი დ. ბაქრაძე აირჩიეს.

თავმჯდ. § 13—ინჟ. საპიცკის (ჭიათურის მარკშეიდერს) აბარია.

§ 14—ბ-ნ ემერიკს.

§§ 15 და 16—უკვე არსებულ მუდმივ კომისიას.

§ 17—ბ-ნ ემერიკს.

§ 18—ამის შესახებ სახალხო სკოლების ინსპექტორი ბ-ნი ნოვოსპასკი მოგვაწვდის თავის მოსაზრებას.

§ 19—ინჟ. დეკანოზიშვილის კერძო წერილები იქნება წაკითხული.

§ 20—ინჟ მიხაილოვი.

§§ 21 და 22—ინჟ. ცეიტლინი.

§ 23—ბეითალი ლანგი.

§ 24—თავ. ი. ნიჟარაძე.

ფერრო მარგანეცის შესახებ—ბ-ნ ემერიკი.

ხანგრძლივი კამათი გამოიწვია „საბჭოსათვის სახელმძღვანელომ" (**наказъ**).

თავ. ი. აბაშიძემ განაცხადა,—ასე სახელდახელოდ სახელმძღვანელოს შემუშავება შეუძლებელია; კიდეც რომ მოსწრონ, ბევრი ნაკლი ექნება. უმჯობესია მომავლისათვის გადავდოთ, რომ გულდასმით შეიმუშაონ და ისე წარმოადგინონო.

თავმჯდომარე. მაგრამ სამინისტრომ დაგვავალა, ეხლავ შემუშავდეს სახელმძღვანელო.

თავ. აბაშიძე. ჩვენ ამ საქმეს მსვლელობას მივსცემთ, და მაინცა და მაინც რომ ეხლავე ვერ განვახორციელოთ, ვგონებ, ამისათვის არავინ გაგვიწყრესო.

ბ. კიკნაძე. იმ აზრისაა, რომ სახელმძღვანელო (**наказъ**) მალე შემუშავდეს, რათა შესაძლო იქმნეს შრომის განაწილება საბჭოს წევრთა შორის, თორემ ეხლა მთელი საქმეები მარტო თავმჯდომარეს აწევს კისერზეო.

ბ. დ. ბაქრაძე. ბატონებო, ნუ ავჩქარდებით, ადვილი საქმე არაა, რომ ასე მალე შემუშავება მოვასწროთო.

(ცოტაოდენ კამათის შემდეგ ეს საქმე მიანდვეს საბჭოს, რომელმაც დაწვრილებით უნდა შეიმუშაოს და ისე წარუდგინოს მომავალს მორიგს, ან საგანგებო მრეწველთა კრებას.

კრება სამის ნახევარზედ დასრულდა.

10 იანვარი (მეოთხე სხდომა)

კრების დაწყებამდე თავმჯდომარემ განაცხადა,—ცოტა და აკლია კიდევ ვექილობათა გადასინჯვის დასრულებას, იმედია, პირველ საათამდე გავათავებთ, და გთხოვთ მანამდე მოითმინოთო.

პირველ საათზე დაიწყო კრება, და შეუდგნენ ოქმის კითხვას ბ-ნმა ემერიკმა განაცხადა,—გუშინ თავმჯდომარემ გამოაცხადა, კრება შაბათამდე უნდა გადავდეა, რადგან ვექილობანი ჯერ გადასინჯული არაა და ეხლა კრებასა ვხურავო. ჩვენც ავდექით და წავედით; კრება-კი განგიგრძვიათ; გთხოვთ ეს შენიშვნა ოქმში შეიტანოთო.

თავმჯდომარემ უპასუხა,—მართალია, განვაცხადე—შაბათამდე უნდა გადავდო კრებამეთქი, მაგრამ კრება არ დამიხურავს, რადგან უმრავლესობა წინააღმდეგი გახდა კრების შეწყვეტისა, და განვაგრძეთ მსჯელობა; არ მესმის, რატომ მარტო თქვენ იფიქრეთ, რომ კრება გადიდვაო.

ბ-ნი ემერიკი. მარტო მე კი არა, უმრავლესობამ ასე გაიგო და წავიდ-წამოვიდაო.

თავმჯდომარე. გთხოვთ, ადგეთ, ვინც გუშინ იფიქრეთ, რომ შაბათამდე გადაიდო კრება, და იმიტომ წახვედით კრებიდგანაო. წამოდგა 5 კაცი, მათ შორის ინჟინერი ჩერნიავსკია. გაისმა ხმები,—ინჟინერი ჩერნიავსკი არსად არ წასულა, კრების დასრულებამდე აქ იყოო. თავმჯდომარე შეეკითხა, და ინჟ. ჩერნიავსკი, ცოტა არ იყოს საქციელ წამხდარი, გამოტყდა—არ წავსულვარო. ბ-ნმა იაშვილმა განაცხადა,—ბ-ნი ემერიკი იმიტომ წავიდა შინ, რომ გულის ძგერა აუვარდაო.. ზოგმა სხვამაც დაადასტურა ბ-ნ იაშვილის შენიშვნა. ბ-ნმა ემერიკმა მაინც შეატანია ოქმში თავისი შენიშვნა.

დიდხანს გაგრძელდა ოქმის შესწორება და დამატება, თუმც უმეტეს ნაწილად შენიშვნა-დამატებანი სრულიად უმნიშვნელო იყო.

ოქმის დამტკიცების შემდეგ თავმჯდომარემ წაიკითხა დეპეშა მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის თანაშემწისა,—ვექილობათა მიღება კრებების დასრულებამდე განაგრძეო.

ბ-ნი ემერიკი. საჭიროა, ეს ამბავი ჭიათურაშიაც გამოცხადდეს.

ბ-ნმა ზდანოვიჩმა განმარტა, რომ, თანახმად მინისტრის განკარგულებისა, კრების დაწყების ვადა ერთი თვის წინად იყო გამოცხადებული გაზეთებში და ვექილობათა მიღება სამი დღის წინად მოვსპეთ კანონისამებრო. ეხლა ვიღასაც მიუმართავს მინისტრისათვის—გვესმის, რა განზრახვითაც—და მიტომ მოუვიდა თავმჯდომარეს განკარგულებაო.

ბ-ნი ემერიკი. ეს ვიღაც—მე გახლავართ.

ბ-ნნი ემერიკი და ზდანოვიჩი შეეკამათნენ ვექილობათა შესახებ. ბ-ნმა ზდანოვიჩმა უთხრა,—ნუ შევჯიბრდებით, კიდევ გულის-ძგერა არ მოგივიდეთო.

ცოტაოდენ კამათის შემდეგ, თავმჯდომარემ მიჰმართა ინჟ. ჩერნიავსკის,—გთხოვთ, წაიკითხოთ თქვენი მოხსენება—შავი-ქვის მადნის გასარეცხ ქარხნის შესახებ,—და ისიც შეუდგა კითხვას.

ინჟ. ჩერნიავსკის მოხსენებით, ზემოხსენებულ ქარხანას იმ სარგებლობის მოტანა შეუძლიან, რომ თვით მადანს უვარგისი ნაწილები ჩამოჰშორდება და რამოდენიმე პროცენტით მეტი ლიტონი აღმოჩნდება, ვიდრე გაუწმენდელსა აქვს. გარდა ამისა, ეხლა მადანს თან მიჰყვება მრავალი უვარგისი ნაწილები, და ამგვარ მადნის გადაზიდვით ტყუილუბრალო ხარჯი მოსდის მრეწველს, მაგალითად, მოხსენების ავტორს გამოუანგარიშებია, წლიურად რომ 30 მილიონ ფუთ მადნის გაზიდვა ვიანგარიშოთ ჭიათურიდგან,—600—700 ათასი მანეთი ჯდება მადნის უვარგის ნაწილების გადატანაო. რომ ქარხნის შემწეობით ეს უვარგისი ნაწილები მოვაშოროთ, ეს 600—700 ათასი მანეთი თვით მრეწველთ შეემატება და არა რკინის-გზა-გემებსაო. *)

ინჟ. ჩერნიავსკის მოხსენებას ჯერ ის წუნი დასდეს, რომ მეტად დააგვიანა მისი შემუშავება; უნდა ადრე შემუშავებულიყო, რომ დაწვრილებით შესძლებოდა კაცს მისი გაცნობა, თორემ ერთის წაკითხვით, ან მოსმენით შეუძლებელია ვინმემ სავსებით გაითვალისწინოს იგი. გარდა ამისა, ზოგს საეჭვოდ ეჩვენა ბ-ნ ჩერნიავსკის მიერ მოყვანილი ციფრები. ამასთანავე ავტორს დიდი ადგილი მიუცია მოხსენების წინასიტყვაობისათვის, და ცოტა არ იყოს, უდიერად, უპატივცემულოდ იხსენიებს როგორც წვრილ მრეწველთ, ისე ამხანაგობის საბჭოს წევრთ. ბევრმა იქვე, კითხვის დროს, განაცხადა თავისი უკმაყოფილობა და ავტორს ოინბაზობით და გაუთლელობით იხსენიებდა.

კრება 3 საათზედ დასრულდა.

ჩვენებური ამბები

სიღნაღი. ჩვენში არაფერი საზოგადო საქმე არ არსებობს. იმიტომ, რომ მკვიდრნი შესდგებიან მომეტებულ ნაწილად უსწავლელ-გაუნათლებელ ხალხისგან. ქალაქს სიღნაღში ათი ათასი მცხოვრებია, ამათში ერთი მეათედი ქართველია, დანარჩენი—სომხები. მამაკაცნი მისდევენ ვაჭრობას, ხელოსნობას, მაგალითად: თერძობას, ხარაზობას, მჭედლობას და სხვა. თუ ოჯახის უფროსი თერძი არის, შვილებსაც ასწავლის ამ ხელობას; თუ მოვაჭრე—ვაჭრობას და სხ. სწავლა-განათლებისათვის ესენი სრულიად არ ზრუნავენ. ან-კი რა საზოგადო საქმის გაკეთება შეუძლიანთ?

არიან მცხოვრებთა შორის იმისთანებიც, რომლებიც ტფილისის საშუალო სასწავლებელშიაც ზრდიან შვილებს, მაგრამ მათი რიცხვი ძლიერ პატარაა.

ქალაქში არსებობს ერთი ვაჟთა სამ-კლასიანი სასწავლებელი და ერთიც ახლად დაარსებული საქალებო სასწავლებელი. პირველში მოქალაქეთა შვილების რიცხვი მცირეა. მოწაფეთა მომეტებული ნაწილი შესდგება მაზრის მკვიდრთა შვილებისაგან, რომლებიც კურს დამთავრების შემდეგ მიდიან სწავლის გასაგრძელებლად სხვა-და-სხვა საშუალო სასწავლებლებში ქალთა სასწავლებელში მოწაფეთა მომეტებული რიცხვი მოქალაქეთა შვილებია.

ჩვენი ქალაქი წარმოდგენს მოკლებულია. სოფლებიდგან ამოდიან ხოლმე ზაფხულობით სცენის მოყვარული ქართველი სტუდენტები და ჰმართავენ ქართულ წარმოდგენებს, მაგრამ ქალაქის მკვიდრნი არ თანაუგრძნობენ მათ და, რასაკვირველია, წარმოდგენასაც არ ესწრებიან.

ადგილობრივმა მმართველობამ არა მოუტანა-რა ჩვენ ბედშავ ქალაქს. იქნება ათი წელიწადი, რაც ჩვენ ქალაქში არსებობს თვით-მმართველობა. ხმოსნები და ქალაქის თავი მოკლებულ არიან სწავლა-განათლებას; არიან მათში იმისთანა ხმოსნებიც, რომელთაც თავიანთ გვარ-სახელის მოწერაც-კი არ შეუძლიანთ. აი კიდევაც ამათ ხელში ჩავარდნილი ჩვენი ქალაქი და პირ-უკუღმა მიდის.

არ გვივარგა საფოსტო გზა, რომელზედაც დაიარებიან ეტლები, დილიჟნები, ურმები და სხ. გზას უვარგისობას, რადაც მიზეზით, თვით-მმართველობა ყურადღებას არ აქცევს.

იანვრის თვიდგან დაწყებული აქამდის სულ თოვს.

მაზრის უფროსის მეცადინეობით, როგორც გავიგეთ, გუბერნიის მთავრობას გამოუგზავნია საგუბერნიო ინჟინერი და ტეხნიკოსები, რომელთაც დაუთვალიერებიათ სიღნაღის ვიწრო და უთქვამთ, ამ ვიწროს შესამაგრებლად 2 ათას-ექვსასი თუმანია საჭიროო.

ჩვენი ქალაქი მკურნალობასაც მოკლებულია. გვყავს მაზრის მკურნალი, რომელსაც კარგის მკურნალის სახელი აქვს მოხვეჭილი. მას ხალხი ბუზივით ესევა. ხშირად ექიმს იწვევენ ავადმყოფის პატრონნი გარეშე სოფლებში, რის გამოც დილით წასული ექიმი ხანდისხან საღამოთი ძლივს ბრუნდება სახლში, ავადმყოფნი-კი უცდიან მას ეზოში ამ ცივს ზამთრობისას. ექიმს, რომელსაც დღეში ხუთი-ექვსი თუმანი შემოსავალი აქვს, ერთი ოთახი არ მოუპოვება, რომ თავი შეაფაროს ხალხმა ექიმის მოსვლამდის. მკურნალი სახლში მოსულ ავადმყოფთ ართმევს ყოველ გასინჯვაზედ მანეთს, მხოლოდ, თუ სოფლად მიიწვიეს, გარიგებით.

როგორც ქალაქში, აგრეთვე სოფლებშიაც გავრცელებულია ფილტვებით ავადმყოფობა (ჭლექი), თვალის ტკივილი, ქარები და ციებ-ცხელება. ოჯახი არ იქნება, რომ ერთი მაინც არ ჰყავდეთ ამ სენით ავად. განსაკუთრებით მძვინვარებს ჭლექი. მიზეზი ამ სენის გავრცელებისა არის ცუდი ჰავა-სმა. ამ ავადმყოფობის გავრცელების მეორე მიზეზი გახლავთ ჭლექიანის ნაცვამ ტანისამოსის ტარება, რომელიც მოაქვთ ჩარჩებს ტფილისიდგან და ასაღებენ მკვიდრთა შორის.

ჭირნახულის მოსავალს ამ წელს დიდს მოველით. დიდი თოვლი სძევს მინდვრებში, რომელიც ნელ-ნელა დნება და მალამოსავით ედება ნათესობას.

ი. დ. ხმალაძე.

ბათუმი, აქაური საზოგადოება დიდს ფაცაფუცშია, ყველანი ემზადებიან და მოუთმენლად მოელიან 14 იანვრის საღამოს. წარსულ წლების მაგალითისამებრ, წლეულსაც იმართება „საღამო" ბათუმის ქართველთა სკოლის ქონებრივად გასაძლიერებლად. სამკერვალოები სავსეა შეკვეთებით—ქალი და კაცი, მოხუცი და ახალგაზდა ერთი მეორეს ეჯიბრება, რომ 14 იანვარს კარგად და სუფთად იყვეს გამოწყობილი. როგორც ამბობენ, წლევანდელ საღამოზე დასასწრებლად დიდძალი საზოგადოება აპირებს ბათუმში ჩამოსვლას ტფილისიდგან, ქუთაისიდგან, ფოთიდგან და სხ. ზოგიერთი ადგილიდგან უკვე ჩამოვიდა რამდენიმე ახალგაზდა, რომელთა სიმშვენიერე და მორთულობა თვალწარმტაცია. საღამოს დიასახლისი კნ. ანდრონიკაშვილისა, სკოლის კომიტეტის წევრები და მათთან ერთად ბათუმის მკვიდრნი დიდის მუყაითობით ემზადებიან სტუმრების დასახვედრად. საღამოზე დასასწრებლათ მოწვეულნი არიან: ტფილისიდგან—არტისტი ვასო აბაშიძე, რომელიც წაიკითხავს ხალხურს სცენებს, იოსებ ბარათაშვილი, რომელსაც არა ერთხელ დაუტკბია ბათუმის საზოგადოება 14 იანვარს თავისის თარით და სიმღერებით; ქუთაისიდგან—ბ-ნი შარაბიძე, რომელიც წარსულ წლის მაგალითისამებრ წლეულსაც ხელმძღვანელობას გაუწევს მომღერალთა გუნდს. გარდა ამისა, ბ-ნი ნ. ს. დერჟავინი წაიკითხავს ქართულიდგან რუსულად ნათარგმნ ლექსებს, ქ-ნი ხუდადოვისა დაუკრავს როიალს, ერთი ახალგაზდა რუსის ქალი იმღერებს ქართულ რომანსებს; აგრეთვე გამართული იქნება „ბაზარი", რომლისათვის ნივთები შეიძინა პატივცემულმა კნ. ანდრონიკაშვილისამ და სხ. ერთის სიტყვით, საღამო დიდად საინტერესო იქნება და არა გვგონია, დიდათაც გულ-ნატკენნი არ დარჩნენ ისინი, ვინც ამ საღამოს არ დაესწრებიან.

ლ. ლევანიძე.

უცხოეთი

შეერთებული შტატები. როგორც სასალხო ჯანმრთელობის ბიუროს გამოუქვეყნებია, ნახშირის სიძვირის გამო, მარტო ჩიკაგოში 200,000 კაცი გამხდარა ავად, რომელთა შორის ბევრი უკვე გამოსალმებია წუთისოფელს. ბიურო სასტიკად ჰკიცხავს ქვა-ნახშირიან მიდამოების მფლობელთ აღვირ-ახსნილ თვით ნებობისათვის, ნახშირზედ განძრახ ფასების დაწევისათვის და თხოულობს, რომ ისინი სამართალში იქმნან მიცემულნი.

საკანონმდებლო მთავრობა სცდილობს ტრესტების საზიზღარსა და საზარელ მოქმედებას ფრთები შეაკვეცოს.

პირველ იანვარს წარმომადგენელთა პალატაში იურიულ კომისიის პრეზიდენტმა შემდეგი კომისიისათვის სავალდებულო რეზოლიუცია შეიტანა: შეისწავლოს და გამოიკვლიოს ნახშირის საქმე, რკინის გზების სააგენტოების და სხ. მდგომარეობა და გამოსთქვას თავისი აზრი, ხელსაყრელი იქმნება თუ არა, რომ ყველა ამ დარგთა წარმოება სახელმწიფომ იდვას თავის თავზედ. თუ კომისია საჭიროდ დაინახავს, რომ ქვა-ნახშირის და რკინის გზის ექსპლოატაცია სახელმწიფოს გარდაეცეს, მაშინ ამით მას (კომისიას) ნება ეძლევა კანონ-პროექტი წარადგინოს პალატაში.

ნიუ-იორკში ნავთი ორჯერ მეტად გაძვირებულა.

თეატრი და ხელოვნება

ოზურგეთი. 9 იანვარს ქართული თეატრის მსახიობის ა. წუწუნავას გამგეობით და რეჟისორობით, სცენის მოყვარულთა დახმარებით გაიმართა წარმოდგენა. წარმოადგინეს ა. ცაგარლის პიესები: „ციმბირელი" და „ჭკუისა მჭირს". მონაწილეობას იღებდნენ: ქ-ნნი ჯაყელი, მ. ლომთათიძე, ე. წუწუნავა, დ. ჩიქოქიძისა, ნ. ი. ხურციძე. ბ-ნნი: ა. წუწუნავა, ი. ძიძიშვილი, ირ. ღლონტი, ვ. ბებურიშვილი, ს. ხურციძე და ი. დემუროვი. სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენმა სცენის მოყვარეებმა მშვენივრად წარმოადგინეს ორივე პიესა, განსაკუთრებით ციმბირელი. თითქმის ყველამ კარგად იცოდა თავისი როლი. განსაკუთრებით შესამჩნევად შეასრულეს თავისი როლები და ძლიერ ასიამოვნეს დამსწრე საზოგადოება ქ-ნმა ნ. ჯაყელმა (ნარგიზა) და ვ. წუწუნავამ (მაშო). ბევრი აცინა საზოგადოება ბ. ს. ხურციძემ პეტუას როლში.

წარმოდგენას საზოგადოება გვარიანად დაესწრო, თუმცა ცუდი დარი იყო.

№—ძე.

ნარკვევი

„С-П. Вѣдомость"-ში წერილია დაბეჭდილი, რომელიც ქართული კათედრის დაარსებას შეეხება რუსეთის უნივერსიტეტებში. მოგვყავს წერილის ზოგიერთი ადგილი:

„რუსულ საისტორიო მეცნიერება მეტად ნაკლებ ყურადღებას აქცევდა საქართველოს. რუსულ ენაზედ არ არის არც ერთი ხეირიანი წიგნი, რომელიც საქართველოს ისტორიულ ცხოვრებას შეეხებოდეს. ეს ხდება მაშინ, როცა საჭირო იყო მეტი ყურადღება მიექციათ საქართველოს კულტურულ ცხოვრებისათვის.

ორ ძლიერ სახელმწიფოს—სპარსეთსა და ოსმალეთს შორის მოქცეული საქართველო დიდს უბედურებას ითმენდა ამ ველურ მეზო-

---

პირდაპირ იჯდა, გაიხსენა ერთი თავისი ამხანაგთაგანი, რომელიც სადღაც შორს მასწავლებლად წასულიყო და ერთის თვის შემდეგ ისევ მასწავლებელს გაჰყოლოდა ცოლად.

ამ ლაპარაკის დროს მ. სოფრომს მეტი სიხალისე დაეტყო და ცოტა ხნის შემდეგ სულ უმიზეზოდ გაიღიმა.

ეს ღიმილი არაფრით არ იყო გამოწვეული, და სხვა, გარეშე კაცისათვის გაუგებარი დარჩებოდა, მაგრამ ჩემთვის-კი ადვილი მისახვედრი იყო. საქმე ის იყო, რომ ორივ ცოლ-ქმარს ტფილისიდგან ჩემი მოსვლის შემდეგ, ერთ დღეს ლაპარაკი ჰქონდათ ჩემსა და ნინოს შესახებ და გადაეწყვიტათ ჩვენი შეუღლება, თუ ჩვენც თანახმა გავხდებოდით.

ამ ამბისათვის ნინოს ყური მოეკრა მახლობელ ოთახიდან, სადაც ის მძინარე ეგონათ თურმე... როცა გზაზე, ეკლესიიდან გამოსვლის შემდეგ ნინოს ვუთხარი მამაჩემმა შენი მეუღლეობა მირჩია-თქო, ნინომაც მითხრა: „უარს ამაზე არც ჩემი მშობლები არიან, თუ ჩვენც თანახმა ვიქნებითო".

ახლა-კი, როცა მამა სოფრომი ჰხედავდა რომ მე და ნინოს ერთმანერთი მოგვწონდა, რაც მისთვის ადვილი მისახვედრი იყო, განსაკუთრებით ჩემგან გრძნობიერად ნინოს დღეგრძელობის შემდეგ, გადაეწყვიტა გაეცხადებია თავისი სურვილი, რისთვისაც კარგი მოხერხებული დროც იპოვა ნინოს ლაპარაკის შემდეგ. ამას კარგად ჰგრძნობდა და თანაც სიამოვნებდა. ეს სიამოვნება სახეზედაც დაეტყო და ეს ღიმილი იყო სწორედ იმ სიამოვნების გამომეტყველი.

მ. სოფრომმა თავის მეუღლეს გადახედა, ვითომ: „დროა, თუ არა ვსთქვაო", და, როცა მართამაც გადმოხედა თანხმობის ნიშნად, მ. სოფრომი ადგა, ღვინით სავსე ჭიქა აიღო, მოგვმართა და გვითხრა:

— ლევან და ნინო! მსურს, რომ თქვენ ორივე ჩემი შვილები გახდეთ; ვბედავ ამის თქმას, რადგანაც ორივეს გატყობთ, ერთმანერთი მოგწონთ. თუ შეასრულებთ ჩემს სურვილს, ორთავეს დაგლოცავთ, გაკურთხებთ და მთელს ჩემს ქონებას, რაც-კი რამ გამაჩნია, თქვენ გაჩუქებთ... მე მზადა ვარ, ჩემი სიტყვები სისრულეში მოვიყვანო ახლავე, თუ თქვენი ნებაც იქნება.

ამ სიტყვების გამგონე ნინო წამოწითლდა: თვალები მორცხვობის ნიშნად ძირს დახარა; მისი თვალები დაფარა მელანივით შავმა წამწამებმა.

მეც, რასაკვირველია, შემრცხვა და გავწითლდი.

ორივენი გაჩუმებულნი ვიყავით, თუმცა ორივეს გვეტყობოდა, რომ თანხმობას ვაცხადებთ. საჭირო იყო მხოლოდ ერთი ხმა: „გაუწოდეთ ერთმანერთს ხელიო", რომ მე თანხმობის ხელი გამეწვდინა მისთვის, ვისაც არა ერთხელ დავუფიქრებივარ.

მღვდელმა თითქოს ამოიკითხა ჩვენი სურვილი და გვითხრა:

— მამაშვილურად გთხოვთ ორთავეს, მომასწარით თქვენს ბედნიერებას, რომ ორივეს ისე გიყურებდეთ, როგორც ჩემს საკუთარს შვილებს.

მე ვერ გავუძელ ამ სიყვარულით სავსე სიტყვებსა და გავუწვდინე ხელი ნინოს, რომელმაც მორცხვად მომცა თავისი თლილი, ქაღალდივით თეთრი ხელი.

სიხარულმა იმ ზომამდე აღგვიტაცა ორივენი, რომ ანგარიშ მიუცემლად, უნებლიედ დავიჩოქეთ მღვდლის წინ და იმანაც დაგვლოცა ორივენი.

— ეჰ, ძმაო!—მომმართა ლევანმა:—განა შემიძლია გადმოგცე ის სიხარული. ის სიტკბოება, რომელიც იმ წამს ჩამესახა გულში?! გამოუთქმელ ნეტარებას ვგრძნობდი!.. მეგონა, მთელი ქვეყანა დამიმტკიცეს და მის მეუფედ გამხადეს მეთქი...

ლევანს ხმა შეუსუსტდა. დაკვირვებული თვალი შეამჩნევდა თვალებზე მომდგარ ცრემლებს, რომელიც გადმოცვენას აპირებდა.

ლევანმა თავი მაღლა აიღო, მოშვებული, წინ წამოსული თმა გაისწორა, შუბლზე ხელი გადისვა და ისევ განაგრძო:

— ამ სურათის დამნახავნი ცოლ-ქმარნი სიხარულმა აღიტაცა, მართას ცრემლებიც-კი გადმოსცვივდა თვალიდგან... მართა მოგვიახლოვდა და ორივენი დაგვკოცნა.

საღამომდის სუფრა არ აულაგებიათ; დრო გადიოდა ტკბილ მუსაიფსა და ქეიფში.

საღამოს-კი, როცა შებინდდა, მომიყვანეს შეკაზმული ცხენი, გამომატანეს თან ბიჭი, და მეც გამოვსწიე შინისკენ.

სახლში მივედი ვახშმობისას. როცა მკითხეს: „სად იყავიო?" მე ყოველივე ვუამბე. შინაურებს ძლიერ ესიამოვნათ ჩემი ნაამბობი.

გერასიმე ხაჟომია.

(დასასრული იქნება)

---

*) ჩერნიავსკის აზრით, ორი ქარხანა რომ დაარსდეს ჭიათურაში, მისავალ რკინის გზებით (10 ვერსტამდე), მილიონ ნახევარი დაჯდებაო, დაახლოვებით.

ბლებთაგან, მაგრამ მაინც შეირჩინა თავისი ეროვნული ელფერი. XIX საუკ. დადგა ქართული ლიტერატურის აყვავების ხანა: გაჩნდა რომანები, დრამები, ისტორიული ქრონიკები; პოეზიამ უმაღლეს საფეხურს მიაღწია ქართველი ბაირონის—ბარათაშვილის წყალობით, დაიბადა არქეოლოგია, ნუმიზმატიკა, და ბოლოს, აღორძინდა პუბლიცისტიკა, ახალი სახე ბელეტრისტიკისა—ნოველები და სხ.

საუბედუროდ, ამ ხანისთვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია რუსეთის სამეცნიერო ლიტერატურას“.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

11 იანვარი.

ლოძი. ყალბის ფულის მომჭრელები დაიჭირეს. უმთავრესმა დამნაშავემ დატუსაღების დროს თავი მოიწამლა და გადაიცვალა.

სოფია. საერო კრებამ ხელ-ახლად დაიწყო სხდომები. თავმჯდომარემ შეატყობინა კრებას: რუსეთის ხელმწიფე იმპერატორმა სადიპლომატიო აგენტს ბახმეტიევს მიანდო, ჩემ მაგიერ მადლობა გადაუხადეთ კრებას სახელწოდების გამო მოლოცვისათვისაო.

პარიზი. ბიუჯეტის განხილვის დროს პალატაში ჟორესმა სიხარული გამოსთქვა 31 წლის მშვიდობიანობის გამო და დაუმატა: იმედი მაქვს, ეს მშვიდობიანობა ორსავე ევროპიულ კავშირის მეოხებით არც დაირღვევაო; ჟორესი დარწმუნებულია, რომ სამთა კავშირი საფრანგეთზე დაცემას არა ჰფიქრობსო.

კარაკასი. ხმა დადის, ლაგუაირაში მოსულმა ჰოლანდიის ჯავშნიანმა გემმა კუნძულ რონესზედ 17 კაცი იპოვა შიმშილისაგან გადაცვალებული, რადგანაც ბლოკადის გამო კუნძულზედ სანოვაგე ველარავის მოჰქონდა.

მარაკაიბო. გერმანელები კიდევ ზარბაზნებს ესვრიან სანტ-კარლოსს; მაგრამ სანტ-კარლოსი ჯერ მაგრაა. მარაკაიბოს მცხოვრებლები აღელვებულები არიან გერმანელების წინაამდეგ.

ვაშინგტონი. რუზველტმა პანამის არხის თაობაზედ ხელ-შეკრულობა წარუდგინა სენატს დასამტკიცებლად. ხელ-შეკრულობის ძალით კოლუმბიას 10 მილიონი დოლარი უნდა მიეცეს ერთბაშად და 250 ათასი ყოველ-წელს ეძლიოს. კოლუმბია შეერთებულ შტატებს 6 მილის სიგანე ნაჭერ ადგილს უთმობს; შტატებს უფლება აქვთ დათმობილი ადგილის დასაცველად ჯარები გაჰგზავნონ ხოლმე. ხელ-შეკრულობა 100 წლითაა დაწერილი და თუ შტატებმა მოისურვეს, ვადის შემდეგ კიდევ ხელ-მეორედ დაიწერება. შტატებს უფლება აქვთ აგრეთვე არხში გამვლელ გემებზედ ბაჟი აიღონ. სენატმა ეს ხელშეკრულობა გარეშე საქმეთა კომისიას გადასცა განსახილველად.

ბერლინი. პატარა თეატრში გუშინ წარმოადგინეს შოლცისაგან გერმანულად გადათარგმნილი გორკის პიესა „ნა დნე“. საზოგადოებას ძლიერ მოეწონა პიესა. გაზეთებიც აქებენ.

ბერლინი. კომანდირ შედერის ოფიციალური დეპეშა იუწყება, რომ 4 იანვარს, როცა მარაკაიბოს თხელ-წყალში მიდიოდა, გემ „პანტერს“ უცებ ზარბაზნები ესროლეს სიმაგრე სანტ-კარლოსიდან. „პანტერ“-იც ნახევარ საათს ესროდა ზარბაზნებს და როცა სროლის გაანება თავი, მაშინვე შეუდგა სიმაგრის დასჯას დაცემისათვის, მით უფრო რომ ვენესუელის მთავრობამ ეს დაცემა სამხედრო გამარჯვებად ჩასთვალა. 9 იანვარს „პანტერ“-მა და „ვინტა“-მ ზარბაზნები ესროლეს სანტ-კარლოსს და დაანგრიეს.

პეტერბურგი. ხელმწიფე-მემკვიდრე დ გერმანიის მემკვიდრე პრინცი ნოვგოროდს წავიდნენ, იქიდან პრინცი საზღვარგარედ წავა. დიდმა მთავრებმა გააცილეს.

12 იანვარი.

პეტერბურგი. გამოვიდა პირველი ნომერი „ვეჩერნ. გაზეთი“ სა. რედაქტორი აზაზაა.

1903 წლის 1 თებერვლიდან ფოსტით შეიძლება გაიგზავნოს ფასიანი ამანათები, 45,000 მანეთამდე დაფასებული.

სოფია. საბჭომ განაგრძო სხდომები. მთავრობამ წარადგინა პროექტი საფოსტო კონვენციისა სერბიასთან.

ივანოვის საქმე გასარჩევად დანიშნულია უმაღლეს სასამართლოში 1 თებერვალს.

ბოლგარიისა და რუმინიის მმართველობამ დანიშნეს საერთო კომისია დუნაიზე მყოფ კუნძულების შესახებ ატეხილ დავის განსახილველად.

ლონდონი. გერმანიამ, ინგლისმა და იტალიამ დაავალეს თავ-თავიანთ წარმომადგენელთ ვაშინგტონში ყოველი მათგანი ცალკე შეთანხმდნენ ბოუენთან შესახებ ცნობილ მოთხოვნისა. მოლაპარაკება დაიწყო.

ბუხარესტი. დაატუსაღეს სახელმწიფო ვალების მმართველობის ვიცე-დირექტორი პარივიანო და საქმის მწარმოებელი დიმიტრესკო, რომელთაც ჰბრალდებათ ბოროტ-მოქმედება რუმინიის რენტის ტირაჟის დროს.

კანეია. აქ მოვიდნენ საბერძნეთის დედოფალი და პრინცი გიორგი.

ბელგრადი. როგორც ისმის, როდესაც მეფე-დედოფალი კრუშედოლსკის მონასტერში წავლენ სტუმრად, ეწვევიან იმპერატორს. ზიმლინში მათ დაუხვდება 20 იანვარს მთავარსარდალი.

ლისაბონი. რუსეთის ელჩი კოიანდერი მიიღო სადარბაზოდ მეფემ.

13 იანვარი

მოსკოვი. 12 იანვარს უნივერსიტეტში გადახდილ იქმნა წლიური აქტი. პროფესორ ტარასოვმა წაიკითხა სიტყვა ქალთა განათლებისა და მათი შრომის შესახებ. კურსი დაამთავრა 686-მა. სტიპენდიებზედ უნივერსიტეტს დაუხარჯავს 167,000 მან.

ასტრახანი. „პრიკასპისკია გაზეთ“-ის გამოცემა შეჩერებულია გამომცემლის მიერ.

ნოვოჩერკასი. ნება დართულია გაიხსნას დონზედ ოთხი სასოფლო-სამეურნეო დაბალი სასწავლებელი.

ლონდონი. პეტერბურგში მყოფი ბრიტანიის საელჩოს პირველი მდივანი დანიშნულია საგარეო საქმეთა სამინისტროს მდივნის თანაშემწედ.

პარიჟი. როდესაც პარიჟში მიიღეს ხელმწიფე იმპერატორის მიერ გაგზავნილი დეპეშა, რომლითაც მისი უდიდებულესობა აუწყებდა ბრეტანის მეთევზეთა სასარგებლოდ 25,000 მანეთის გაგზავნას, პრეზიდენტმა ლუბემ შემდეგი სამადლობელი დეპეშა გამოგზავნა: დიდს მადლობას ვუძღვნი თქვენს უდიდებულესობას დიდ სულოვნურ საჩუქრისთვის. იგი გამოგზავნილია ჩემს სახელობაზედ და უნდა გარდაეცეთ ბრეტანის მეთევზეთ, რომელნიც დიდს გასაჭირში იმყოფებიან. ამ ახალ დამტკიცებულმა საბუთმა თქვენის უდიდებულესობის მიერ მეგობარ და მოკავშირე ერის თანაგრძნობისამ, ჩვენ დიდი სიამოვნება გვააგრძნობინა. მთელი საფრანგეთის სახელით გიძღვნი თქვენ უდიდეს მადლობას ჩვეეთვის მაგვარ ზრუნვისათვის. ლუბე.

სოფია. მაკედონიის კომიტეტმა დაუგზავნა ყველა ადგილობრივ კომიტეტებს ცირკულიარი, რომლითაც სთხოვს ყველას მტკიცედ ედგნენ მიცემულს სიტყვა. არ დაიწყონ არაფერი საქმე და არავითარი შარობები არ შეჰკრიბონ.

ლონდონი. „რეიტერის სააგენტო“-ს შეუტყვია, რომ მოკავშირეთ უხერხოდა სცნეს ბოუენის წინადადება ალყის ახსნის შესახებო.

ნოვგოროდი. ხელმწიფე მემკვიდრე და გერმანიის კრონპრინცი მოვიდნენ 2 საათზედ. ქალაქის თავმა ჟურავლიოვმა მიართვა გერმანელ პრინცს პურ-მარილი, ქალაქის მმართველობის წევრმა პეტროვმა კიდე ხელმწიფე მემკვიდრეს და მოკლედ უძღვნეს სალამი მცხოვრებთა მაგივრად. ხალხმა დიდის აღტაცებით გააცილა უმაღლესი სტუმარნი, რომელნიც კარეტით გაემგზავნენ პოლკის სადგურზედ. აქ მემკვიდრე პრინცმა მაიღო საპატიო დირაჯი პირველი ბატალიონიდან, რის შემდეგაც გაიმართა ცერემონიალური სიარული. როდესაც პოლკის კომანდერმა გადასცა ჯარის-კაცებს უავგუსტოესი შეფის სალამი- ქექა-ქუხილისებურმა „ურა“-მ კედლებს სულ ზრიალი და-წყებინა. პოლკის ეკკლესიაში მემკვიდრე პრინცმა დაათვალიერა ძველი ბაირაღები ორასის წლის პოლკისა. ხელმწიფე მემკვიდრემა და მემკვიდრე პრინცმა დაიარეს ჯარის სადგომები. მემკვიდრე პრინცმა ინახულა ახალ შეკრებულ ჯარისკაცთა ვარჯიშობა. ოფიცერთა საკრებულოს მუზეუმის შესავალში პოლკის კამანდერმა მიართვა პოლკის ისტორია და ვიბორგის პოლკის თითბრის მედალი. შემდეგ ისაუზმეს 120 დამსწრით. საუზმეზედ წარმოთქმულ იქმნა სადღეგრძელო უავგუსტეს შეფისა, ხელმწიფე იმპერატორისა, მემკვიდრე პრინცისა, ხელმწიფე მემკვიდრისა და პოლკის კეთილდღეობისა, ყველა ამ სადღეგრძელოს თან მოსდევდა აღტაცებული „ურა“ და ჰიმნები. ხელმწიფე მემკვიდრის და გერმანელ პრინცის გამოემშვიდობნენ ერომანეთს ძმურად და მეგობრულად. მემკვიდრე პრინცის გასტუმრების შემდეგ, ხელმწიფე მემკვიდრე ზარის რეკვისა და „ურა“-ს ძახილით მივიდა სოფიის სობოროში, სადაც მას მიეგება არქიეპისკოპოზი გურიი. პარაკლისის გადახდის შემდეგ ხელმწიფე მემკვიდრემ დაიარა სობორო და ყველა საკვარველ მომქმედებს ოაყვანის სცა; შემდეგ ინახულა რუსეთის ათასის წლის არსებობის ძეგლი. არხიეპისკოპოზის სადგომი და შემდეგ რკინის გზის სადგურზედ წავიდა. ნოვგოროდელთა საერთო აღტაცებას საზღვარი არა აქვს.

პეტერბურგის ბირჟა, 10 იანვარს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,95
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,80
ბერლინში ,,	46,27½
პარიჟში ,,	3770
ბირჟის დისკონტი	5—6½%
4% სახელმწიფო რენტა	98 გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	100¼ მყიდ.
1% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	94½ მყიდ.
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	465¼ გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	375 წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	311½ გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	83⅞ წვ. გაყ.
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	— 90 გაყ.
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	85½ გაყ.
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	90½ გაყ.
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	2400 გაყ.
აქციები ,, „ „ „	—
,, კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	387 წვ. გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	165 წვ. გაყ.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდგან 15 მაისამდე.

(ფრჩხილებს გარეშ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვისა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპნამდე:—საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 მ.). წა

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის ბათუმისაკენ: —1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდგან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 30 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. და 40 წ. (2 ს. 38 წ.);

ბათუმისაკენ: 1) ღამის 3 ს. და 10 წ. (4 ს. 8 წ.) 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.)

შორაპნისაკენ:— ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს 8 წ.).

ე) ფოთიდგან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:— საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 8 წ,).

სასამართლოს შესახები ცნობანი.

18 იანვარს ტფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნულია განსახილველად შემდეგი საქმეები:

1) დავა არტემ ნიკობაძისა და დავით წულუკიძისა:
2) დავა კონ. ებრილიძისა და იოსებ თებზაძისა.
3) დავა მათე შალამბერიძისა და თ-დ პართენ ერისთავისა.

განცხადება

ქუთაისში
ს. მ. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,
რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის** **პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშ, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
Краткій историческій очеркъ врачебнаго дѣла въ Грузіи,		
მეცნიერებისათვის წამებულნი, სურათებით, თარგმანი ა. ნიკიტინისა	1	„
ველურობა და განათლება, თარგ. ს. ჯუღელისა	„	30
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობის თარგმანი ა. ნატ. გიგაურისა	„	50
ბრძნული სიტყვები	„	10
წმიდა აბო ტფილელი	„	30
ლაზარილიო ტორმესელი, ესპანიური მოთხრობა, თარგმ. ზ. უმიკაშვილისა	„	10
ტფილისი, მ. ჯანაშვილისა	„	50
თამარიანი, პოემა ს. გუგუნავასი	„	50
ნამყენი ვაზით ვენახის მოშენება ს. ქვარიანისა	„	5
სურამის ციხე, დ. ჭონქაძისა	„	15
კონსტანტინე ბ[illegible]იშვილი, თ. ხუსკივაძისა	„	5
ზღაპრები სურათებით	1	„
ცაწია და ბუნგლია, სურათებით თარგმანი დ. ავალიანისა	„	30
„შოთა რუსთაველი“ მ. ჯანაშვილისა	„	40
Царица Тамара, მისივე	„	50
И. Алхазова	„	30
Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи IV т. Н Марра	3	„
Бальваръ и Іодасафъ, А. Хаханова	„	60
Георгій XII, послѣдній царь Грузіи, Н. Дубровина	1	
О грузинскомъ и русскомъ алфавитахъ съ педагогической точки зрѣнія Я. Гогебашвили	„	20
Неестественность „естественнаго“ метода въ дѣлѣ обученія языкамъ Л. Боцвадзе	„	10

ამერიკულ ვაზის სანერგეში

კლო-ქზუბული

დაიწყო გასყიდვა დამყნილ ფესვ-გაკეთებულ ვაზისა, აგრეთვე საუკეთესო ადგილობრივ ბორდოსა, ბურგუნდიისა, შამპანურისა, საფერავისა, რეინისა, ყოველ-დღიურ სახმარებელ ღვინის მომცემისა და სხვა ჯიშის ვაზის რქისა. **მრავლად არის ასარჩევი** რქა და ფესვ-გაკეთებული, უკვე ყურძნის მომსხმელი გიბრიდები (აგრეთვე მათი თესლი) და ყოველ-გვარ ამერიკულ ვაზისა სამამულედ და დასამყნელად (**550** ჯიშის რქა და ვაზებია მზად სანერგეში). პრეისკურანტი უფასოდ. ადრესი წერილებისა და დეპეშებისათვის: В. Тьебо, Кутаисъ.)

საბუღალტერო კლასები

დაარს. **ი. ი. ბრონ-ფონ ბრენნერის მიერ.**

საბუღალტერო კლასებს აზრათა აქვს მისცეს მსურველთ, შედარებით მოკლე დროს განმავლობაში, საკომერციო განათლება, პრაქტიკულისა და თეორიულის მეცადინეობის შემწეობით მოამზადოს **ბუღალტრები, კორესპონდენტები, კანტორშჩიკები** და საზოგადოდ მოხელენი სავაჭრო საქმეებისა. კურს დამთავრებულთ ეძლევათ **ატესტატები.** ხოლო საუკეთესო შეგირდებს ეძლევათ **ადგილი** სამსახურში.

სასწავლებელში მიიღებიან **ორივე სქესისანი,** 15 წლისაზე არა ნაკლებნი. სულ ორი განყოფილებაა: მე 2-ში მიიღებიან ვინც წარმოადგენს საქალაქო სასწავლებელში ან პროგიმნაზიაში კურსის დამთავრების მოწმობას, ხოლო პირველში—უმოწმობონი. სწავლა თითოეულ განყოფილებაში 5 თვეს სწარმოებს, საღამოობით—5—9 საათამდე.

ისწავლება შემდეგი საგნები:

ბუღალტერია, საბანკო საქმე, საკომერციო არითმეტიკა, არითმეტიკა საანგარიშოზედ, ტეხნოლოგია, სავაჭრო საქონლის მეტყველება, კორესპონდენცია, კალიგრაფია, ვაჭრობის ცოდნა, სავაჭრო კანონები და მსურველთათვის: უცხო ენები, სტენოგრაფია, ვარჯიშობა მბეჭდავ მაშინაზედ.

წელს მოწვეულნი არიან მასწავლებლებად: ინჟენ. მ. ი. **ჩენგერი** და ს. პ. **ილიინი,** იურისტები: ა. ი. **მიტკევიჩი** და ვ. ფ. **სულევსკი,** მასწავლებელი ი. ი. **ბრონ-ფონ ბრენნერი,** ს. ე. **კოშელოვი,** ო. ა. **სოკოლოვი** და სხვანი.

ფასი მთელის კურსისა პირველ განყოფილებაში 60 მ. მეორეში 75 მ. ვაკანსიების რიცხვი განსაზღვრულია. სწავლა დაიწყება 20 იანვარს. ცნობათათვის შეიძლება მიმართონ კლასების სადგომში, ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა დილის 10—2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

ტფილისი, ნიკოლოზის ქუჩა № 88. (10—473—8)

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1903 ГОДЪ

на издающуюся въ Тифлисѣ политическую и литературную ежедневную газету

„НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ.“

(XX-й годъ изданія)

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ

съ доставкой и пересылкой:

а 12 мѣсяцевъ	7 р. — к.	на 6 мѣсяцевъ	4 р. — к.
„ 11 „	6 р. 50 „	„ 5 „	3 „ 50 „
„ 10 „	6 „ — „	„ 4 „	3 „ — „
„ 9 „	5 „ 50 „	„ 3 „	2 „ 50 „
„ 8 „	5 „ — „	„ 2 „	2 „ — „
„ 7 „	4 „ 50 „	„ 1 „	1 „ — „

За границу: па годъ 14 руб., на полгода 8 руб., ня 3 мѣсяца—5 руб.

Допускается разсрочка платежа: къ 1-му января—4 р., къ 1-му іюня—3 р.

Для сельскихъ учителей, народныхъ и школьныхъ библіотекъ и благотворительныхъ учрежденій сдѣлана скидка: годовая плата для иногородныхъ—6 руб., для городскихъ—5 руб.

Подпискб принимается не иначе, какъ считая съ 1-го числа каждаго мѣсяца—въ Тифлисѣ, въ конторѣ газеты, Барятинская ул., д. № 8.

Плата за объявленія: для Кавказскаго края на 1 стр. одинъ разъ—15 коп. (со строки петита), на 4 стр.—8 к. Объявленія, печатаемыя болѣе одного раза, на 1-й стр.—10 к. (со строки петита), на 4-й стр.—5 коп. За годовыя объявленія—значительная скидка.

Объявленія отъ лицъ, фирмъ и учрежденій Петербурга, Москвы, Риги, Царства Польскаго и заграничн. принимаются исключительно въ конторѣ объявленій Л. и Э. Метцль и Ко къ Петербургѣ и Москвѣ—по 10 коп. за строку петита—на 4 стр. и по 20 к.—на 1-й стр.

(8—8)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 13 января 1903 г. Типографія „Гутенбергъ“ (кн. Гр. Н. Діасами дзе.) Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. ხახანაშვილი.